ბორჯომის მუნიციპალიტეტი

ბორჯომის მუნიციპალიტეტის სოფლებში (დგვარი,დვირი,ჭობისხევი)სანიაღვრე არხის მოწყობის სამუშაოების შესყიდვის გამარტივებული ელექტრონული ტენდერი აუქციონის გარეშეს

სატენდერო დოკუმენტაცია

წინამდებარე სატენდერო დოკუმენტაცია შედგენილია „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის 12[1] მუხლის, „გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის შესახებ“ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 7 აპრილის #9 ბრძანების და **„სოფლის მხარდაჭერის პროგრამის დამტკიცების შესახებ“** საქართველოს მთავრობის 2016 წლის 04 თებერვლის #54 დადგენილების საფუძველზე

შესყიდვა დასრულდება ძირითად დროში. დამატებითი რაუნდები არ გაიმართება

ბორჯომი 2016 წელი

ტექნიკური დოკუმენტაცია:

1. **პრეტენდენტმა უნდა წარმოადგინოს (სისტემაში ატვირთოს) შემდეგი ტექნიკური დოკუმენტაცია:**

1.1 პრეტენდენტის რეკვიზიტები (მისამართი, საბანკო რეკვიზიტები, ხელმძღვანელობაზე და წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის სახელი და გვარი) **დანართი #1**-ის მიხედვით;
1.2 სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში შემოთავაზებული სატენდერო წინადადების ფასი და სამუშაოების შესრულების ვადა **დანართი #2**-ის მიხედვით**;**
1.3 შესასრულებელი სამუშაოების ხარჯთაღრიცხვა **დანართი#3**-ში მოცემული ფორმის შესაბამისად; *<u>მიმწოდებლის მიერ ხარჯთაღრიცხვის წარმოუდგენლობა ან/და ხარჯთაღრიცხვის ფორმის ცვლილება გამოიწვევს პრეტენდენტის დისკვალიფიკაციას.</u>*
1.4 სამუშაოების შესრულების კალენდარული გეგმა-გრაფიკი **დანართი #4-ის** მიხედვით;
1.5 ინფორმაცია გამოცდილების შესახებ **დანართი #5–ს** მიხედვით;

2. სამუშაოების შესრულების ვადა
2.1 სამუშაოს შესრულება ხორციელდება ხელშეკრულების გაფორმებიდან 60 კალენდარული დღის ვადაში წარმოდგენილი გეგმა-გრაფიკის მიხედვით;

2.2 მიმწოდებელმა სამუშაოების შესრულება უნდა დაიწყოს წარმოდგენილი გეგმა - გრაფიკის მიხედვით არაუგვიანეს ხელშეკრულების გაფორმებიდან 7 (შვიდი) კალენდარული დღის ვადაში;

3. ანგარიშსწორების პირობები
3.1 სატენდერო წინადადებაში საერთო ფასი გამოსახული უნდა იყოს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შესასრულებელ სამუშაოებთან დაკავშირებული ყველა გადასახადის გათვალისწინებით (დღგ-ს გარდა).
3.2 ანგარიშსწორება მოხდება უნაღდო ანგარიშსწორებით ლარში.

3.3 მიმწოდებელთან შუალედური ანგარიშსწორება განხორციელდება ეტაპობრივად ფაქტიურად შესრულებული სამუშაოების მიხედვით მიღება-ჩაბარების აქტის, ფაქტიურად შესრულებული სამუშაოების აქტის (ფორმა №2-ს) და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შესაბამისი დოკუმენტაციის წარმოდგენიდან 10 სამუშაო დღის განმავლობაში.

3.4 მიმწოდებლის მოთხოვნის შესაბამისად, წინასწარი ანგარიშწორება შესაძლებელია განხორციელდეს მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილი ავანსად გადასარიცხი თანხის იდენტური ოდენობის, უპირობო, გამოუთხოვარი საბანკო გარანტიის საფუძველზე, რომელიც არ უნდა აღემატებოდეს სახელშეკრულებო ღირებულების 40%-ს. აღნიშნული საბანკო გარანტიის მოქმედების ვადა 60 (სამოცი) დღით უნდა აღემატებოდეს ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოს დასრულების ვადას;

3.5 შემსყიდველის მიერ ავანსად გადახდილი თანხის გამოქვითვა განხორციელდება მიმწოდებლის მიერ ანგარიშსწორებისათვის წარმოდგენილი ფაქტიურად შესრულებული სამუშაოების მოცულობების ღირებულებიდან 50 %-ის ოდენობით, ყოველ წარმოდგენილ შესრულებაზე.

4. ინფორმაცია პრეტენდენტის გამოცდილების შესახებ

4.1 შესყიდვაში მონაწილეობის მსურველ პირს 2014 წლების 01 იანვრიდან ტენდერის გამოცხადებამდე შესრულებული უნდა ჰქონდეს არანაკლებ 50 000 ლარის ღირებულების საერთო სამშენებლო სამუშაოების შესრულების გამოცდილება. ინფორმაცია წარმოდგელი უნდა იყოს **დანართი №5–ის** შესაბამისად;

4.2 შესყიდვაში მონაწილეობის მსურველმა პირმა უნდა წარმოადგინოს 4.1 პუნქტით გათვალისწინებული სამუშაოებზე გაფორმებული ხელშეკრულების და ამ სამუშაოების დასრულების დამადასტურებელი დოკუმენტაციის ასლები (სამუშაოების შესრულების აქტი (ფორმა #2), შესრულებული სამუშაოების მიღება–ჩაბარების ან სხვა);

5. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

5.1 შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარება მოხდება ეტაპობრივად (არანაკლებ თვეში ერთხელ).

5.2 შესყიდვის ობიექტზე შესასრულებელი სამუშაოების ეტაპების დასრულების შესახებ მიმწოდებლის წერილობითი შეტყობინების და წარმოდგენილი ფორმა #2-ის (შესრულებული სამუშაოების აქტი) საფუძველზე, მუნიციპალიტეტის არქიტექტურისა და მშენებლობაზე ზედამხედველობის განყოფილება ახდენს ობიექტისა და შესრულებული სამუშაოების შემოწმებას, გამოვლენილი ხარვეზების დაფიქსირებას და ადგენს ვადას მიმწოდებლის მიერ ამ ხარვეზების აღმოსაფხვრელად, რაც ფორმდება შესაბამისი აქტით.

5.3 შესყიდვის ობიექტის ეტაპების მიღება-ჩაბარება მოხდება არტქიტექტურისა და მშენებლობაზე ზედამხედველობის განყოფილების მეშვეობით შემსყიდველის მიერ შემუშავებული სამუშაოების დამთავრებული ეტაპის შუალედური მიღების აქტის საფუძველზე.

5.4 ეტაპების მიხედვით შესრულებული სამუშაოების შუალედური მიღება-ჩაბარებისათვის მიმწოდებელმა უნდა წარმოუდგინოს შემსყიდველს შესრულებული სამუშაოების აქტი ფორმა N2 და ფარული სამუშაოების აქტი(ასეთის არსებობის შემთხვევაში).

6. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

6.1 ფორს-მაჟორული პირობების გარდა, ხელშეკრულების დამდები მხარეების მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის, არაჯეროვნად შესრულების ან/და დაგვიანებით შესრულების შემთხვევაში გამოიყენება საჯარიმო სანქციები.

6.2 სამუშაოების დაწყების 7 (შვიდი) კალენდარულ დღეზე მეტი ვადით გადაცილების შემთხვევაში მიმწოდებელს დაეკისრება საჯარიმო სანქცია ხელშეკრულების ღირებულების 0,3%-ის ოდენობით.

6.3 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულების შემთხვევაში მიმწოდებელს დაეკისრება ჯარიმის გადახდა (გარდა შესრულების ვადის დარღვევისა) ყოველ ჯერზე ხელშეკრულების ღირებულების 0,3%-ის ოდენობით.

6.4 ხელშეკრულების ან/და ხელშეკრულების ეტაპის (გეგმა-გრაფიკი) შესრულების ვადის გადაცილების შემთხვევაში მიმწოდებელს დაეკისრება პირგასამტეხლოს გადახდა ხელშეკრულების ღირებულების 0,3%-ის ოდენობით ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.

6.5 ხელშეკრულების შეწყვეტის შემთხვევაში მიმწოდებელს ეკისრება პირგასამტეხლო ხელშეკრულების საერთო ღირებულების 5 % ოდენობით.

6.6 საჯარიმო სანქციით დაკისრებული თანხა გადახდილ უნდა იქნას საჯარიმო სანქციის გამოყენებასთან დაკავშირებით შეტყობინებიდან 10 (ათი)კალენდარული დღის ვადაში.

6.7 საჯარიმო სანქციების გადახდა არ ათავისუფლებს ხელშეკრულების მხარეებს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

7. ხელშეკრულების შეწყვეტა

7.1 შემსყიდველს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების ცალმხრივად შეწყვეტის შესახებ შემდეგ შემთხვევაში:

ა) მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სამჯერ დარღვევის შემთხვევაში;

ბ) ხელშეკრულების გაფორმებიდან სამუშაოების დაწყების 15 (თხუთმეტი) კალენდარული დღეზე მეტი ვადით გადაცილების შემთხვევაში;

გ) მიმწოდებლის მიერ სამუშაოების შესრულების გეგმა-გრაფიკის და საბოლოოს შესრულების ვადის 7 (შვიდი) კალენდარული დღეზე მეტი ვადით გადაცილების შემთხვევაში.

8. სატენდერო წინადადების ფასი

8.1 სატენდერო წინადადების ფასი წარმოდგენილ უნდა იყოს **დანართი #2–ის** მიხედვით;

8.2 ფასებში ასახული უნდა იყოს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა გადასახადი (დღგ-ს გარდა), ხარჯები, რომლებიც სატენდერო წინადადების ფასში არ იქნება გათვალისწინებული არ დაექვემდებარება ანაზღაურებას.

8.3 სატენდერო წინადადების ფასი სახელმწიფო შესყიდვების ერთიანი ელექტრონულ სისტემაში მითითებული უნდა იქნას დღგ–ს გარეშე (იმის მიუხედავად არის თუ არა პრეტენდენტი დღგ–ს გადამხდელად რეგისტრირებული). გამარჯვებულ პრეტენდენტთან ხელშეკრულების დადებისას, ხელშეკრულებაში დამატებით იქნება გათვალისწინებული დღგ–ს ოდენობა;

8.4 ***გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ" სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 7 აპრილის N9 ბრძანების მე-11 მუხლის 2[1] პუნქტის საფუძველზე, იმ შემთხვევაში, თუ ტენდერში ყველაზე დაბალი ფასის წინადადების მქონე პრეტენდენტის მიერ სისტემაში დაფიქსირებული საბოლოო ფასი 20%-ით ან მეტით დაბალია შესყიდვის ობიექტის სავარაუდო ღირებულებაზე, მიმწოდებელი ვალდებულია შემსყიდველის მოთხოვნიდან არაუმეტეს 5 (ხუთი) სამუშაო დღეში დაასაბუთოს ფასწარმოქმნის ადეკვატურობა. ფასწარმოქმნის ადეკვატურობა, შესაძლებელია დასაბუთდეს საექსპერტო, აუდიტორული ან/და საშემფასებლო დადებითი დასკვნით, რომელიც ადასტურებს პრეტენდენტის მიერ დაფიქსირებულ ფასად ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების შესაძლებლობას.***

9. შესყიდვის ობიექტის საგარანტიო ვადა

9.1 შესრულებული სამუშაოს ხარისხის საგარანტიო ვადად განისაზღვროს საბოლოო მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 3 (სამი) წელი.

9.2 სამუშაოების დასრულების შემდეგ საგარანტიო ვადის განმავლობაში რაიმე წუნის (ნაკლოვანებები, დეფექტი) აღმოჩენის შემთხვევაში, თუ დადგინდება რომ აღნიშნული წუნი (ნაკლოვანებები, დეფექტი) გამოწვეულია უხარისხო ან/და არაჯეროვანი შესრულებით, მიმწოდებელი ვალდებულია აღმოფხვრას უხარისხოდ შესრულებული სამუშაოები საკუთარი ხარჯებით.

10. შესყიდვის ობიექტის ტექნიკური დავალება

10.1 ბორჯომის მუნიციპალიტეტის (შემდგომში – შემსყიდველი) მიერ გამოცხადებული გამარტივებული ელექტრონული ტენდერი აუქციონის გარეშეს შესყიდვის ობიექტს წარმოადგენ **ბორჯომის მუნიციპალიტეტის სოფლებში (დგვარი, დვირი, ჭობისხევი) სანიაღვრე არხის მოწყობის სამუშაობი.**

10.2 დაფინანსების წყარო: სახელმწიფო ბიუჯეტი; (სოფლის მხარდაჭერის პროგრამა)

10.3 სატენდერო წინადადების სავარაუდო ღირებულება შეადგენს **35024 ლარს დღგ-ს გარეშე,** მათ შორის:

1. ბორჯომის მუნიციპალიტეტის სოფელ დგვარის სანიაღვრე არხის რეაბილიტაციის ღირებულება შეადგენს 6070 ლარი დღგ-ს გარეშე;

2. ბორჯომის მუნიციპალიტეტის სოფელ დვირის სანიაღვრე არხის მოწყობის ღირებულება შეადგენს 4237 ლარს დღგ-ს გარეშე;

3. ბორჯომის მუნიციპალიტეტის სოფელ ჭობისხევის სანიაღვრე არხის მოწყობის (გაგრძელების) ღირებულება შეადგენს 24717 ლარს დღგ-ს გარეშე;

შენიშვნა: პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილი თოთოეული ობიექტის სახარჯთაღრიცხვო ღირებულება არ უნდა აღემატებოდეს შესაბამისი ობოექტისთვის განკუთვნილ სავარაუდო ღირებულებას;

11. გამოსაყენებელი მასალა:

11.1 სამუშაოს შესრულებისას ყველა გამოყენებული მასალა უნდა იყოს მაღალხარისხიანი და უნდა აკმაყოფილებდეს საქართველოში მოქმედ ყველა სამშენებლო ნორმასა და სტანდარტს, რაზეც შემსყიდველს უფლება აქვს, სურვილისამებრ მოითხოვოს შესაბამისობის დადგენის მიზნით, მოითხოვოს ხარისხის დამადასტურებელი დოკუმენტაცია (ლაბორატორიული დასკვნები, სერტიფიკატები და სხვა);

11.2 სამუშაოების შესრულების პროცესში გამოყენებული მასალებისა და მოწყობილობების ტიპი და ვიზუალურ-ტექნიკური მახასიათებლები (ხარისხი, ფაქტურა, ფერი და სხვა) თანხმდება შემსყიდველთან. იმ შემთხვევაში, თუ მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილი მასალა, მოწყობილობა ან შესრულებული სამუშაო არ შეესაბამება საქართველოში მოქმედ სტანდარტებს და შემსყიდველი ორგანიზაციის მოთხოვნებს, მიმწოდებელი ვალდებულია თავისი ხარჯებით გამოასწოროს, წარმოადგინოს სხვა, შემსყიდველისთვის მისაღები მასალა, მოწყობილობა ან/და სხვაგვარად შეასრულოს სამუშაო;

12 სამუშაოების შესრულების პირობები:

12.1 ტენდერით გათვალისწინებული სამუშაოები უნდა შესრულდეს ჯეროვნად საპროექტო დოკუმენტაციის, მოქმედი სამშენებლო ნორმებისა და წესების, მსგავსი სამუშაობისათვის უკვე არსებული სტანდარტებისა და შემსყიდველი ორგანიზაციის მოთხოვნების შესაბამისად. წესებიდან და ნორმებიდან ნებისმიერი გადახვევის შემთხვევაში შემსყიდველი უფლებამოსილია არ მიიღოს სამუშაო ან/და მიმწოდებლის მიმართ გამოიყენოს ხელშეკრულებითა და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული პასუხისმგებლობის ზომები.

12.2 სამშენებლო სამუშაოები უნდა განხორციელდეს მშენებლობის უსაფრთხოების წესების მოთხოვნათა სრული გათვალისწინებით.

12.3 პროექტისა და ხარჯთაღრიცხვის იმ ნაწილში სადაც მოცემული იქნება შესასყიდი მასალებისა და მოწყობილობის სასაქონლო ნიშანი, მოდელი, წარმოშობის წყარო ან მწარმოებელი, იგულისხმება „მსგავსი“ ან „ეკვივალენტური“.

12.4 სამშენებლო სამუშაოების სახარჯთაღრიცხვო ღირებულების განსაზღვრისას გაუთვალისწინებელი ხარჯების ოდენობა უნდა განისაზღვროს ხარჯთაღრიცხვით გათვალისწინებული ოდენობით. ხარჯთაღრიცხვით განსაზღვრული გაუთვალისწინებელი

სამუშაოებისათვის გამოყოფილი თანხა გამოიყენება მხოლოდ სამუშაოს შესრულების პროცესში დამატებით ჩასატარებელი სამუშაოების შესასრულებლად, შესაბამისი მოტივირებული დასკვნის საფუძველზე, შემსყიდველთან შეთანხმებით.

13. ნორმატიული დოკუმენტაცია:

13.1 სამშენებლო სამუშაოების სახარჯთაღრიცხვო ღირებულების განსაზღვრისას მიმწოდებელმა უნდა იხელმძღვანელოს „სამშენებლო სამუშაოების სახელმწიფო შესყიდვისას ზედნადები ხარჯებისა და გეგმიური მოგების განსაზღვრის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 14 იანვრის #55 დადგენილებით, კერძოდ სამშენებლო სამუშაოებზე ზედნადები ხარჯების ზღვრული ოდენობა განისაზღვრება არაუმეტეს 10%-ით და გეგმიური მოგება არაუმეტეს 8 %-ით.

14. დამატებითი ინფორმაცია

14.1 სატენდერო დოკუმენტაციასთან დაკავშირებული განმარტებების მიღება პრეტენდენტს შეუძლია სატენდერო კომისიის აპარატში. ქ. ბორჯომი, მესხეთის #5. საკონტაქტო პირი: ანა რაზმაძე, ეკა ლონდარიძე, ტელ: +995 367 224499 / 223355 (108) ელექტრონული ფოსტა: borjomitenderi@gmail.com;

14.2 შემსყიდველ ორგანიზაციაში წარმოსადგენი ყველა დოკუმენტი ან/და ინფორმაცია ხელმოწერილი და ბეჭედ დასმული (ბეჭდის არსებობის შემთხვევაში) უნდა იყოს უფლებამოსილი პირის მიერ (საჭიროების შემთხვევაში ატვირთულ უნდა იქნას მინდობილობა ან რწმუნებულება).

15. სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების პროექტი

ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ

ხელშეკრულების პირობების საბოლოო ვარიანტი შეიძლება დაზუსტდეს და დაიხვეწოს ტენდერში გამარჯვებულ პრეტენდენტთან ხელშეკრულების გაფორმების პროცესში.

წინამდებარე ხელშეკრულება დაიდო ___ _____ 2016 წ.

ერთის მხრივ ბორჯომის მუნიციპალიტეტი (შემდგომში `შემსყიდველი~)
და მეორეს მხრივ _____

(მიმწოდებლის დასახელება და რეკვიზიტები)

(შემდგომში `მიმწოდებელი~)შორის.
იმის გათვალისწინებით, რომ შემსყიდველმა ჩაატარა ტენდერი **ბორჯომის მუნიციპალიტეტის სოფლებში (დგვარი,დვირი,ჭობისხევი) სანიაღვრე არხის მოწყობის სამუშაოების** შესყიდვაზე, რომელშიც გამარჯვებულად მიჩნეულ იქნა მიმწოდებლის სატენდერო წინადადება, რომლის თანახმად მიმწოდებელმა აიღო ვალდებულება შეასრულოს ზემოაღნიშნული სამუშაოები შემდეგ თანხით:

_____

(ხელშეკრულების თანხა ციფრებით, სიტყვიერად და ვალუტის ჩვენებით)

(შემდგომში `ხელშეკრულების ღირებულება~).

1. გამოყენებული ტერმინების განმარტებები

ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

1.1 ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ~ (შემდგომ _ `ხელშეკრულება~) _ შემსყიდველ ორგანიზაციასა და ტენდერში გამარჯვებულ პრეტენდენტს შორის დადებული ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით და დამატებებით და ასევე მთელი დოკუმენტაციით, რომლებზეც ხელშეკრულებაში არის მინიშნებები.
1.2 ხელშეკრულების ღირებულება~ ნიშნავს საერთო თანხას, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა ორგანიზაციამ მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის;
1.3 შემსყიდველი ორგანიზაცია~ (შემდგომ `შემსყიდველი~) ნიშნავს ორგანიზაციას (დაწესებულებას), რომელიც ახორციელებს შესყიდვას;
1.4 `მიმწოდებელი~ ნიშნავს პირს, რომელმაც მოიპოვა გამარჯვება ტენდერში და შეასრულოს სამუშაოები სახელმწიფო შესყიდვის შესახებ მოცემული ხელშეკრულების ფარგლებში;
1.5 `დღე~, `კვირა~, `თვე~ ნიშნავს კალენდარულ დღეს, კვირას, თვეს.

2. ხელშეკრულების საგანი
2.1 ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს **ბორჯომის მუნიციპალიტეტის სოფლებში (დგვარი,დვირი,ჭობისხევი) სანიაღვრე არხის მოწყობის სამუშაოები.**
2.2 ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოების აღწერა მოცემულია სატენდერო დოკუმენტაციის ტექნიკურ დავალებაში.
3. ხელშეკრულების ღირებულება
3.1 შესასრულებელი სამუშაოების ჯამური ღირებულება შეადგენს _____ ლარს.
3.2 ხელშეკრულების საერთო ღირებულება მოიცავს ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოების შესრულებასთან დაკავშირებულ მიმწოდებლის ყველა ხარჯს და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ გადასახადებს.
4. სტანდარტები
4.1 ხელშეკრულების ფარგლებში შესრულებული სამუშაოები უნდა შეესაბამებოდეს ტექნიკურ პირობებში მითითებულ სტანდარტებს.
5. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი
5.1 შემსყიდველს ან მის წარმომადგენელს უფლება აქვთ ხელშეკრულების შესრულების ნებისმიერ ეტაპზე განახორციელოს კონტროლი (ინსპექტირება) მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებაზე, რომლის მიზანია მისი შესაბამისობის დადგენა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან და შემსყიდველის მოთხოვნასთან;
5.2. შემოწმების შედეგად გამოვლენილი ნებისმიერი ნაკლის ან დეფექტის შესახებ შემსყიდველი დაუყოვნებლივ წერილობით აცნობებს მიმწოდებელს დაწუნებული სამუშაოების და წუნდების მიზეზების მითითებით;
5.3. გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრასთან და ხელახალ ინსპექტირებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება მიმწოდებელს, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით;
5.4. მიმწოდებელმა სამუშაოს შესრულების ნორმების მიხედვით სისტემატურად უნდა აწარმოოს მასალებისა და შესრულებული სამუშაოს ხარისხის კონტროლი;
5.5. ხელშეკრულების ინსპექტირებას შემსყიდველის მხრიდან განახორციელებს მუნიციპალიტეტის არქიტექტურისა და მშენებლობაზე ზედამხედველობის განყოფილება.
6. სამუშაოს შესრულების პირობები
6.1 სამუშაოს შესრულება ხორციელდება ხელშეკრულების ხელმოწერიდან 60 დღის ვადაში.

7. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

7.1 შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარება მოხდება ეტაპობრივად.

7.2 შესყიდვის ობიექტზე შესასრულებელი სამუშაოების ეტაპების დასრულებამდე ერთი კვირით ადრე მიმწოდებლის წერილობითი შეტყობინების საფუძველზე, მუნიციპალიტეტის არქიტექტურისა და მშენებლობაზე ზედამხედველობის განყოფილება ახდენს ობიექტისა და შესრულებული სამუშაოების შემოწმებას, გამოვლენილი ხარვეზების დაფიქსირებას და ადგენს ვადას მიმწოდებლის მიერ ამ ხარვეზების აღმოსაფხვრელად, რაც ფორმდება შესაბამისი აქტით.
7.3 შესყიდვის ობიექტის ეტაპების მიღება-ჩაბარება მოხდება მუნიციპალიტეტის არქიტექტურისა და მშენებლობაზე ზედამხედველობის განყოფილების მეშვეობით შემსყიდველის მიერ შემუშავებული სამუშაოების დამთავრებული ეტაპის შუალედური მიღების აქტის საფუძველზე.
7.4 შესყიდვის ობიექტზე სამუშაოების დასრულებით და ხარვეზების აღმოსაფხვრელად საჭირო ვადის გასვლის შემდეგ მუნიციპალიტეტის არქიტექტურისა და მშენებლობაზე ზედამხედველობის განყოფილება დაინტერესებულ მხარეთა წამომადგენლების მონაწილეობით ობიექტის დამთავრების აქტის გაფორმებით ახდენს შესრულებული სამუშაოების საბოლოო მიღება-ჩაბარებას.

8. გარანტია

8.1 შესრულებული სამუშაოს საგარანტიო ვადა არის 3 (სამი) წელი ობიექტის საბოლოო მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების დღიდან, რომლის განმავლობაშიც მიმწოდებელი ვალდებულია შეტყობინების მიღებისთანავე განახორციელოს უხარისხოდ შესრულებული სამუშაოს ან მისი ნაწილის გამოსწორება შემსყიდველის მხრიდან რაიმე დამატებითი დანახარჯების გაწევის გარეშე.
8.2 მიმწოდებლის მიერ ამ ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში შემსყიდველს უფლება აქვს თვითონ მიიღოს ზომები წარმოქმნილი დეფექტების გამოსწორებისათვის და მოსთხოვოს მიმწოდებელს შესაბამისი ხარჯების ანაზღაურება ან გამოქვითოს ეს თანხა ხელშეკრულების მიხედვით მიმწოდებლისათვის გადასახდელი თანხიდან.

9. ანგარიშსწორება და ვალუტა

9.1.ანგარიშსწორება განხორციელდება აღნიშნული სამუშაოების შესასრულებლად სახელმწიფო ბიუჯეტიდან მიზნობრივად გამოყოფილი თანხების შესაბამისად, რისთვისაც მიმწოდებელმა უნდა წარმოადგინოს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შესაბამისი საგადახდო დოკუმენტაცია. წინააღმდეგ შემთხვევაში, შემსყიდველს უფლება აქვს უარი თქვას ანგარიშსწორებაზე;
9.2. ანგარიშსწორება მოხდება უნაღდო ანგარისწორებით ლარში.
9.3 მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება ეტაპობრივად ხელშეკრულებით გათვალისწინებული ფაქტიურად შესრულებული სამუშაოს მიღება-ჩაბარების აქტის, ფორმა №2 და შესაბამისი დოკუმენტაციის წარმოდგენიდან 10 სამუშაო დღის განმავლობაში.

10. ფასები

10.1 შემსყიდველის მიერ ხელშეკრულებაში მითითებული ფასები არ უნდა აღემატებოდეს მიმწოდებლის მიერ სატენდერო წინადადებაში მითითებულ ფასებს.

10.2 ხელშეკრულების ღირებულების პარამეტრის შეცვლა ხელშეკრულების მოქმედების მთელი პერიოდის განმავლობაში დაუშვებელია, თუკი ამ ცვლილების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება ან შემსყიდველისათვის უარესდება ხელშეკრულების პირობები.
10.3. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398–ე მუხლით გათვალისწინებული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების ჯამური ღირებულების გაზრდა დაუშვებელია ხელშეკრულების ღირებულების 10%–ზე მეტი ოდენობით.

11. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

11.1. არავითარი გადახრა ან ცვლილება ხელშეკრულების პირობებში არ დაიშვება, ორივე მხარის მიერ ხელმოწერილი წერილობითი შესწორებების გარდა.

11.2. თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.

12. უფლებების გადაცემა

12.1. მიმწოდებელმა შემსყიდველის წინასწარი წერილობითი თანხმობის გარეშე, არც მთლიანად და არც ნაწილობრივ არ უნდა გადასცეს მოცემული ხელშეკრულებით არსებული თავისი ვალდებულებები.

13. სუბკონტრაქტორები

13.1 ამ ხელშეკრულების ფარგლებში დასადები ყველა სუბკონტრაქტი უნდა შეთანხმდეს შემსყიდველთან.

13.2 იმ შემთხვევაში, თუ სუბკონტრაქტის დადების ან სუბკონტრაქტორის შეცვლის აუცილებლობა წარმოიშობა ხელშეკრულების შესრულების პროცესში, მიმწოდებელმა წერილობით უნდა აცნობოს შემსყიდველს ზემოაღნიშნულის შესახებ და მიიღოს მისგან წერილობითი თანხმობა.

13.3 ამ ხელშეკრულების ფარგლებში დადებული ყველა სუბკონტრაქტის ასლი უნდა წარედგინოს შემსყიდველს.

13.4 ამ ხელშეკრულების ფარგლებში დადებული არც ერთი სუბკონტრაქტი არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებებისაგან.

14. ხელშეკრულების შესრულების შეფერხება

14.1 თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელშემშლელ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, შესაბამისმა მხარემ დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ. შეტყობინების მიმღებმა მხარემ რაც შეიძლება მოკლე დროში უნდა აცნობოს მეორე მხარეს თავისი გადაწყვეტილება, მიღებული აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით.

14.2 იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების პირობების შესრულების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელების თაობაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის გზით.

15. მხარეთა უფლება–მოვალეობები

15.1. შემსყიდველი უფლებამოსილია:

– სამუშაოს დასრულებამდე ნებისმიერ დროს მოითხოვოს მიმწოდებლისგან მისთვის საჭირო ინფორმაცია:

15.2 შემსყიდველი ვალდებულია:

– უზრუნველყოს მიმწოდებლის მიერ შესრულებული სამუშაოს ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადების და პირობების დაცვით.

15.3 მიმწოდებელი უფლებამოსილია მოსთხოვოს შემსყიდველს შესრულებული სამუშაოს ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით.

15.4 მიმწოდებელი ვალდებულია დროულად და კეთილსინდისიერად შეასრულოს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები.

16. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

16.1. თუ მიმწოდებელი:

ა) არ დაიწყებს წინამდებარე ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას

სატენდერო წინადადებით გათვალისწინებულ ვადაში;
ბ) არ ასრულებს ან არაჯეროვნად ასრულებს ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებებს;
გ) სისტემატიურად ან/და უხეშად არღვევს ხელშეკრულების პირობებს, შემსყიდველს უფლება აქვს ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულების მოქმედება; ასევე დააკისროს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული ზიანის ანაზღაურება საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული წესის შესაბამისად.
16.2. შემსყიდველს უფლება აქვს ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულების მოქმდება აგრეთვე:
ა) თუ შემსყიდველისათვის ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო იგი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებების შესრულებას;
ბ) მიმწოდებლის გაკოტრების შემთხვევაში;
გ) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევაში;
16.3. თუ მიმწოდებელი გადააცილებს შემსყიდველის სატენდერო წინადადებით გათვალისწინებულ შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადას, დაეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 0.3%–ის ოდენობით.
16.4. იმ შემთხეევევაში, თუ ვადების გადაცდენისათვის დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 3%–ს, შემსყიდველს უფლება აქვს შეწყვიტოს ხელშეკრულება.
16,5 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულებისათვის ხელშეკრულების შეწყვეტის შემთხვევაში მიმწოდებელს ეკისრება პირგასამტეხლო ხელშეკრულების საერთო ღირებულების 5 % ოდენობით.
16.6. საჯარიმო სანქციის გადახდა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისადმი;

17. ხელშეკრულების შეწყვეტა

17.1 ხელშეკრულების დამდები ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მეორე მხარეს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების სრული ან მისი ცალკეული პირობის მოქმედების შეწყვეტის შესახებ.
17.2 ხელშეკრულების დამდები მხარე, რომელიც მიიღებს ასეთ გადაწყვეტილებას ვალდებულია შეატყობინოს მეორე მხარეს მიღებული გადაწყვეტილება, მისი მიღების საფუძველი და ამოქმედების თარიღი. აღნიშნული შეტყობინება უნდა მიეწოდოს მეორე მხარეს გადაწყვეტილების ძალაში შესვლამდე მინიმუმ ერთი თვით ადრე.
17.3 ხელშეკრულების შეწყვეტა პირობების დარღვევის გამო არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ხელშეკრულების შეუსრულებლობისათვის გათვალისწინებული პასუხისმგებლობისაგან.

18. დაუძლეველი ძალა

18.1 მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეულ პასუხისმგებლობისგან, თუ აღნიშნული გამოწვეულია დაუძლეველი ძალის ზეგავლენით. აღნიშნულის არსებობის შემთხვევაში, მხარე ვალდებულია აცნობოს მეორე მხარეს ნაკისრი ვალდებულებების შესრულებლის შეუძლებლობის შესახებ;
18.2 თუ ერთ–ერთი მხარე დაუძლეველი ძალის გამო ვერ ასრულებს ნაკისრ ვალდებულებებს, იგი ვალდებულია დაუყონებლივ, მაგრამ არაუგვიანეს მომდევნო კალენდარული დღისა აცნობოს მეორე მხარეს მათი დადგომის ან/და დასრულების შესახებ. წინააღმდეგ შემთხვევაში, შესაბამისი მხარე არ გათავისუფლდება ნაკისრი ვალდებულებებისაგან;
18.3 მხარეთა პასუხისმგებლობა და ვალდებულებები განახლდება დაუძლეველი ძალის მოქმედების დასრულებისთანავე.

19. სადაო საკითხების გადაწყვეტა

19.1. შემსყიდველმა და მიმწოდებელმა ყველა ღონე უნდა იხმაროს, რათა პირდაპირი არაოფიციალური მოლაპარაკებების პროცესში შეთანხმებით მოაგვარონ ყველა უთანხმოება და

დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული სხვა კომპონენტის ირგვლივ.
19.2. მხარეები უარს აცხადებენ დავის გაგრძელებაზე სასამართლოში ან/და საარბიტრაჟო ინსტანციაშვი. დავასთან დაკავშირებული შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, შემსყიდველს ეძლევა უფლება მიმართოს სააღსრულებო დაწესებულებას(როგორც კერძო აღმასრულებელს, ასევე ეროვნული აღსრულების ბიუროს) ხელშეკრულების მე-16 მუხლით გათვალისწინებული დარღვევის შემთხვევაში. ამ შემთხვევაში აღსრულებასთან დაკავშირებული ყველა ხარჯი ანაზღაურებული იქნება შემსყიდველის მიერ.

20. გამოყენებული სამართალი
20.1. ხელშეკრულება დადებულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად და ინტერპრეტირებული იქნება საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით.
21. ხელშეკრულების ენა
21.1. ხელშეკრულება დაწერილ უნდა იქნეს ქართულ ენაზე. იმ შემთხვევაში თუ ხელშეკრულების მეორე მხარე არის უცხო ქვეყნის წარმომადგენელი მაშინ მეორე ეგზემპლარი ითარგმნება მიმწოდებლისათვის მისაღებ ენაზე. ინტერპრეტაციისას ქართულ ენაზე დაწერილი ხელშეკრულება წარმოადგენს გადამწყვეტს. ხელშეკრულებასთან დაკავშირებული მთელი წერილობითი მოლაპარაკებები და სხვა დოკუმენტაცია, რომელიც გაიცვლება მხარეთა შორის, უნდა შეესაბამებოდეს აღნიშნულ პირობებს.
22. შეტყობინება
22.1. ნებისმიერი შეტყობინება, რომელსაც ერთი მხარე, ხელშეკრულების შესაბამისად, უგზავნის მეორე მხარეს, გაიგზავნება წერილის, დეპეშის, ტელექსის ან ფაქსის სახით, ორიგინალის შემდგომი წარმოდგენით, ხელშეკრულებაში მითითებული მეორე მხარის მისამართზე.
22.2. შეტყობინება შედის ძალაში ადრესატის მიერ მისი მიღების დღეს ან შეტყობინების ძალაში შესვლის დადგენილ დღეს, იმის მიხედვით, თუ ამ თარიღებიდან რომელი უფრო გვიან დგება.
23. გადასახადები და დაბეგვრა
23.1 მიმწოდებელი პასუხს აგებს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი გადასახადის, მოსაკრებლების და სხვა გადასახდელების გადახდაზე.
24. ხელშეკრულების მოქმედების ვადა
24.1. წინამდებარე ხელშეკრულება მოქმედებს და განისაზღვრება ხელშეკრულების დადებიდან 2015 წლის ---------- ჩათვლით.
24.2. ხელშეკრულება შედგენილია ოთხ ეგზემპლიარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან. 1 (ერთი) პირი მიმწოდებელთან და 3 (ორი) პირი შემსყიდველთან.

დანართი #1

1. **რეკვიზიტები:**

პრეტენდენტის იურიდიული ფორმა და დასახელება:

ხელმძღვანელის სახელი და გვარი:

პრეტენდენტის იურიდიული ან/და ფაქტიური მისამართი:

საიდენტიფიკაციო კოდი:

პრეტენდენტის ტელეფონის ნომერი:

ელექტრონული მისამართი:

საბანკო რეკვიზიტები:

პრეტენდენტი _____

დანართი #2

სატენდერო წინადადების ფასი

#	სამუშაოს დასახელება	სატენდერო წინადადების ფასი	სამუშაოს შესრულების ვადა
1	ბორჯომის მუნიციპალიტეტის სოფელ დგვარის სანიაღვრე არხის რეაბილიტაცია		
2	ბორჯომის მუნიციპალიტეტის სოფელ დვირის სანიაღვრე არხის მოწყობა		
3	ბორჯომის მუნიციპალიტეტის სოფელ ჭობისხევის სანიაღვრე არხის მოწყობა (გაგრძელება)		
	სულ		

პრეტენდენტი ——————————————————

(ხელის მოწერა და ბეჭედი)

<u>დანართი№5</u>

ინფორმაცია პრეტენდენტის გამოცდილების შესახებ

N	შესრულებული სამუშაოს დასახელება (თითოეულიობიექტისმიხედვით)	შემსყიდველის დასახელება	ხელშეკრულების ღირებულება	შესრულებულის ამუშაოების ღირებულება, ლარი
1				
2				
ჯამი(2014წელი)				
1				
2				
ჯამი(2015წელი)				
	სულ ჯამი			

პრეტენდენტისხელმოწერა _____ბ.ა